სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

თამაზ ჭუმბურიძე
პროფესორი, დეპარტამენტის
ხელმძღვანელი

ნანა გორგასლიძე
ასოცირებული პროფესორი

ნათია კვიჟინაძე
ასოცირებული პროფესორი

ნინო ნემსიწვერიძე
ასისტენტ-პროფესორი

თეა ზარქუა
ასისტენტ-პროფესორი

ნანა დუღაშვილი
ასისტენტ-პროფესორი

ნესტან ნიკურაძე
ასისტენტ-პროფესორი

სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

ფარმაცევტული საქმის ორგანიზაცია და ისტორია ისწავლებოდა 1926 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ფარმაციისა და ფარმაკოგნოზიის კათედრაზე. 1935 წლიდან წამალთა და გალენური პრეპარატების ტექნოლოგიის კათედრაზე. 1990 წელს, თსსუ-ის რექტორატის გადაწყვეტილებით წამალთა ტექნოლოგიის კათედრა გაიყო ორად და ჩამოყალიბდა ფარმაცევტული საქმის ორგანიზაციისა და ეკონომიკის კათედრა, რომლის გამგედ დაინიშნა დოც. ლევან ჩხატარაშვილი. 1994 წელს მას ეწოდა სოციალური ფარმაციის კათედრა, ხოლო 2006 წელს – სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი.

1992-1997 წლებში კათედრას ხელმძღვანელობდა გურამ ცაგარეიშვილი, 1997-2017 წლებში პროფესორი ვაჟა ერიაშვილი, ხოლო 2017 წლიდან თამაზ ჭუმბურიძე. სხვადასხვა დროს კათედრაზე მოღვაწეობდნენ: გ. ჩიხლაძე, პ. გელიაშვილი, რ. სხილაძე, ბ. ბოჭორიშვილი, ჯ. ენუქიძე, ი. მურღულია, გ. წოწორია, ნ. ჩაჩანიძე, მ. რევიშვილი და სხვ.

დეპარტამენტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებებია: ”სამკურნალო საშუალებების ფარმაკოეკონომიკური და მარკეტინგული გამოკვლევა,” “ფარმაცევტული საქმიანობის მენეჯმენტი”. დეპარტამენენტში ისწავლება ძირითადი დისციპლინები: ფარმაცევტული ზრუნვა, კლინიკური ფარმაცია, ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკა; არჩევითი დისციპლინები: ფარმაცევტული პროდუქტის საქონელმცოდნეობა, ფარმაცევტული მენეჯმენტი და მარკეტინგი.

დეპარტამენტის ბაზაზე ფუნქციონირებს სამაგისტრო პროგრამები “ფარმაციის მენეჯმენტი ” და “კლინიკური ფარმაცია”.